ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. მარტის 25. № 4 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

30. მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტების გაუქმების შესახებ.

31. საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საუტილო ნედლეულის შეგროვებისა, შენახვისა და სათანადო ორგანიზაციებისათვის ჩაბარების წესის თაობაზე სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

32. საქართველოს სსრ-ში 1931 წლის წლიური ანგარიშების და ბალანსების თვისებისა და თავის დროზე წარდგენის უზრუნველყოფის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

33. 1932 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის სათესლე მასალით უზრუნველყოფის შესახებ.

34. მევენახეობის განვითარებისა და 1932 წელს ღვინის დამზადების გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

35. 1932 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ.

36. 1932 წელს ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

37. 1932 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის შესახებ.

სათამასუქო სამართალი.

38. სათამასუქო დებულების 35 და 37 მუხლების შეცვლისა და 36, 38 და 40 მუხლების ამოშლის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

39. საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაფინანსების სპეციალური საქალაქო ფონდების შესახებ.

40. მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანასთან და სახლ-ტრესტებისა და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობების დაწვრილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

41. სამსახურისათვის ქალ. თელავში გადაყვანილ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისა (ინსტიტუტების) მომუშავეთა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა შედგენილობის საბინაო საჭიროებათა უზრუნველსაყოფი ღონისძიებების შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება.

42. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

43. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის განმტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

30. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს შემდეგი საკანონმდებლო აქტები, რომელთაც დაჰკარგეს ძალა მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით:

1. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის სადისციპლინო წესდება, დამტკიცებული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ივლისის 15-ის თარიღის და 35 №-ის დადგენილებით (კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 58; 1928 წ. მე-4 №-ი, მუხ. 94).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ოქტომბრის 26-ის თარიღის და 55 № ის დადგენილება საუწყებო მილიციის შესახებ (კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 78).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის მაისის 5-ის თარიღის და 31 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებათათვის (კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-ი, მუხ. 59).

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის ოქტომბრის 25-ის თარიღის და 70 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის შესახებ (კან. კრ. 1926 წ. მე-5 №-ი, მუხ. 114; 1927 წ. 11 №-ი, მუხ. 153; 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 2; 13 №-ი, მუხ. 125).

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 8-ის თარიღის და 31 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოების შესახებ (კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 43).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის აგვისტოს 22-ის დადგენილება დროებითი საველერინარო მილიციის დაარსების შესახებ (კან. კრ. 1927 წ. მე-8 №-ი, მუხ. 117).

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ოქტომბრის 21-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლის შესახებ (კან. კრ. 1927 წ. მე-10 №-ი, მუხ. 150).

8. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მაისის 3-ის თარიღის და 46 №-ის დადგენილება მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეთა ყოფა-ცხოვრებისა და სამსახურის გამაუმჯობესებელ საჭირო ღონისძიებათა შესახებ (კან. კრ. 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 91).

9. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აპრილის 18-ის დადგენილება მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთათვის ნამსახურობის მიხედვით შრომის ხელფასის პერიოდული მომატების შესახებ (კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 84).

10. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის დეკემბრის 25-ის დადგენილება გამხედროებული საუწყებო დაცვის ბრიგადის მოწყობის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 1).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. თებერვლის 13.

ტფილისი.

---

31. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საუტილო ნედლეულის შეგროვებისა, შენახვისა და სათანადო ორგანიზაციებისათვის ჩაბარების წესის თაობაზე სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ.

ვინაიდან სოციალისტური მრეწველობისათვის საოჯახო მეურნეობის გადანაყარს (ძვალი, ძველი გალოშები, შირი, მჩვარეულობა, ქაღალდი, ნატეხი ლითონი და სხვა მისთ.) თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

უფლება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ საერთო საფუძველზე სავალდებულო დადგენილებანი საუტილო ნედლეულის შეგროვებისა, შენახვისა და სათანადო ორგანიზაციებისათვის ჩაბარების წესის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. თებერვლის 13.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

32. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში 1931 წლის წლიური ანგარიშების და ბალანსების თვისებისა და თავის დროზე წარდგენის უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წლის დეკემბრის 14-ის დადგენილებით დაწესებული 1931 წლის წლიური ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის ვადები: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხაზით—არა უგვიანეს 1932 წლის მარტის 1-ისა, მომარაგების სახალხო კომისარიატის და ყველა სისტემის კოოპერაციის ხაზით—არა უგვიანეს 1932 წლის აპრილის 1-ისა, დანარჩენი უწყებების ხაზით—არა უგვიანეს 1932 წლის აპრილის 15-ისა და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა ხაზით—არა უგვიანეს 1932 წლის მარტის 1-ისა („იზვესტია" № 340, 1931 წ. დეკემბრის 17-ისა) შეიძლება გამონაკლისს შემთხვევაში, სათანადო უწყებების ან კოოპერატიული ცენტრების განსაკუთრებული თხოვნით, განგრძობილ იქნეს არა უმეტეს, ვიდრე ერთი თვით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დადგენილებით, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2. წლიური ანგარიშებისა და ბალანსების შედგენის პერიოდის განმავლობაში აკრძალულ იქნეს მომუშავეთა ყოველგვარი მობილიზაცია და რაიმე სხვა სამუშაოზე გადაყვანა,

3. იმ საწარმოებმა, რომელნიც საქართველოს სსრ-ში ლიკვიდირებულ იქნებიან, 1931 წლის ბალანსებისა და ანგარიშების წარდგენის საქმეში უნდა იხელმძღვანელონ ეს დადგენილება და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1931 წლის დეკემბრის 14-ის დადგენილება.

4. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას და კოოპერატიულ ცენტრს შეიმუშაოს პრაქტიკული საუწყებო ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ანგარიშგების თვისებასა და ვადებს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას თვალყური ადგევნოს ამა დადგენილებისა და 1931 წლის წლიური ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის დეკემბრის 14-ის დადგენილების შესრულების მსვლელობას და არა უგვიანეს 1932 წლის თებერვლის 28-ისა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო მოხსენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მიენდოს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. თებერვლის 25.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

33. დადგენილება ს.კ.ს.

1932 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის სათესლე მასალით უზრუნველყოფის შესახებ.

აღნიშნავს რა სათესლე და სადამზღვევო სათესლე ფონდების დაგროვებისა და საანეულო კულტურების თესლის დამზადების სრულიად არადამაკმაყოფილებლად მსვლელობას, რაც საგაზაფხულო თესვის გეგმის აღსრულებას რეალურ საფრთხეში აგდებს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო—1932 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის სათესლე მასალით უზრუნველყოფის მიზნით—ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი საანეულო სათესლე ფონდების დაგროვების გეგმა რაიონობითი ხაზით საკოლმეურნეო სექტორში შემდეგი საერთო რაოდენობით: ხორბალი—31.077 ცენტნერი, ქერი—32.383 ცენტნ., სიმინდი—39.368 ცენტნ., შვრია—799 ცენტნ., ასლი—1.850 ცენტნ., ფეტვი—307 ცენტნ., ლობიო—3.839 ცენტნ. და სოია—5.905 ცენტნ.

დამტკიცებულ იქნეს საანეულო სადამზღვევო ფონდების დაგროვების გეგმა რაიონობითი ხაზით შემდეგი საერთო რაოდენობით: ხორბალი—4.663 ცენტნერი კოლექტიურ მეურნეობებში და 15.225 ცენტნერი ინდივიდუალურ მეურნეობებში; ქერი—4.200 ცენტნერი კოლექტიურ მეურნეობებში და 16.800 ცენტნერი ინდივიდუალურ მეურნეობებში; სიმინდი—5.952 ცენტნერი კოლექტიურ მეურნეობებში და 13.005 ცენტნერი ინდივიდუალურ მეურნეობებში.

2. რესპუბლიკის ყველა რაიონში სათესლე და სადამზღვევო ფონდების დაგროვება დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1932 წ. მარტის 10-ისა.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ კულტურულ-შეძლებულ მეურნეობებისათვის სადამზღვევო ფონდების დაგროვების ნტკიცე დავალებათა მიცემა და ამ დავალებათა შესრულება არა უგვიანეს ზემოაღნაშნული ვადისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დააზუსტონ ადგილებზე ყველა კულტურის საკოლმეურნეო სათესლე ფონდების დაგროვების გეგმა (რაიონობითი დავალების საერთო რაოდენობის შეუცვლელად) და უზრუნველჰყონ 1932 წ. მარტის 10-თვის დაგროვების გეგმის სავსებით აღსრულება ისეთი რაოდენობით, რამაც უნდა უზრუნველჰყოს კოლექტიურ მეურნეობებში 1932 წლის გეგმით გათვალისწინებული სათესი ფართობები.

მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე სათანადო ღონისძიებანი.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ყოველი ღონისძიება საზოგადოებრივ ბელლებში, კოლექტიური მეურნეობების ბელლებში, თესლსაცავებში და საგროვებელ პუნქტებში სათესლე მასალის სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად.

მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გამოიკვლიონ ხუთი დღის ვადაზე მათი ქვემდებარე ტერიტორიის ფარგლებში ყველა სასაწყობო სადგომისა და თესლსაცავის მდგომარეობა და იხმარონ ღონისძიება ყველა იმ დეფექტის ასაცილებლად, რომ პურეულის შენახვის საქმის გარშემო იქნება შემჩნეული.

5. წანადადება მიეცეს სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებსა და ტრესტებს—გამოჰყონ დაუყოვნებლივ ყველა კოლექტიურ მეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში სპეციალური რწმუნებულნი, რომელნიც პასუხისმგებელ იქნებიან სათესლე ფონდების შეგროვებისა და ჩაყრის გეგმის თავის დროზე და სავსებით შესრულებისათვის.

6. ნებადართულ იქნეს მიმდინარე თესვის კამპანიაში საანეულო კულტურების სათესლე და სადამზღვევო ფონდების რაიონის შიგნითვე თესვის საჭიროებისათვის სათესლედ გამოყენება და მანევრირება.

ეს ღონისძიებანი განხორციელებულ უნდა იქნეს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საერთო დირექტივების მიხედვით.

7. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებს—რაიონებში შეხიდული სასურსათო მარცვლეული გამოიყენონ სათესლე მასალაზე გასაცვლელად.

„სოიუზხლები"-ს საქართველოს განყოფილებამ ერთი დეკადის ვადაზე: ა) უნდა მოაწყოს ახალქალაქის რაიონში სასურსათო მარცვლეულის სათესლე ქერზე გაცვლა როგორც კოლექტიურ მეურნეობებსა, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებში 13.000 ცენტნერის რაოდენობამდე და ეს სათესლე ქერი წარგზავნოს წალკის რაიონში კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობებისათვის, რომელთაც იგი მიეცემათ ანგარიშის

მუხრანბატონეული ბიბლიოთეკა

ნაღდი გასწორებით და მტკიცე ფასად; ბ) მისცეს ანგარიშის ნაღდი გასწორებით სათესლედ 372 ცენტნერი მარცვლეული ტოლოშის რაიონს თავისი ტოლოშის საწყობიდან და ახალქალაქის საწყობიდან—2.243 ცენტნერი ხორბალი ახალქალაქის რაიონს, 100 ცენტნერი საანეულო ქერი ბოგდანოვკის რაიონს და 3.000 ცენტნერი საახეულო ქერი წალკის რაიონს.

8. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების ყველა შენაერთს და ტრესტს და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირს—უზრუნველჰყოს 1932 წლის სათესი ფართობები სათესლე მასალით და ყველა ზედმეტი თესლი დაუყოვნებლივ გადასცეს დამმზადებელ ორგანიზაციებს: ბალახის თესლი—საქართველოს მეცხოველეობისა, პურისა და მემინდვრეობის სას.-სამ. კოოპერაციის კავშირს, ბოსტნეულის თესლი—საქართველოს ბაღ-ბოსტან-კავშირს და მეთესლეობის მეურნეობებისა—მეთესლეობის სას.-სამ. კოოპერაციის კავშირს.

9. დაევალოს საქართველოს მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს, საქართველოს მეცხოველეობისა, პურისა და მემინდვრეობის სას.-სამ. კოოპერაციის კავშირს და ბაღ-ბოსტან-კავშირს—უზრუნველჰყონ სახელმწიფო საჯიშე თესლის ფონდისათვის თესლის დამზადების საგეგმო დავალებათა აღსრულება ბალახეული და ბოსტნეული კულტურების ხაზით.

ბალახეულისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების თესლის დამზადების საგეგმო დავალებათა აღსრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულ იქნეს 1932 წ. მარტის 10.

10. მიენდოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ გამოჰყოს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის დადგენილების საფუძველზე, საჭირო სამრეწველო საქონლის ასორტიმენტი საერთო რაოდენობით 36.860 მანეთის თანხისა—მრეწველობის ფასების მიხედვით, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების თესლის დამზადებათა დასაქონლებისათვის და ეს საქონელი დაუყოვნებლივ გადაზიდოს რაიონებში.

11. მიეწდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურას აძლიოს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით სათესლე მასალის დამზადებისა და განაწილების შესახებ მთავრობის მიერ გამოტანილი დადგენილებებისა და გაცემული დირექტივების დარღვევაში დამნაშავე პირნი.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარუდგინოს ყოველ ხუთს დღეში ერთხელ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ცნობები თესლეულის დამზადებისა და სათესლე ფონდების დაგროვების მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. თებერვლის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 52 №-ში 1932 წ. მარტის 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.(ბ)პ. ც.კ.

მევენახეობის განვითარებისა და 1932 წელს ღვინის დამზადების გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

რათა მევენახეობის განვითარებას ხელი შეეწყოს და ღვინის სახელმწიფო დამზადება გაძლიერდეს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს:

ა) გაადიდოს 1932 წელს ღვინის სადამზადებლო ფასები საშუალოდ 12 მანეთამდე 12 ლიტრ (ვედრო) ღვინოზე; ამასთანავე უნდა მოხდეს ამ ფასების დიფერენციაცია რაიონებისა და ცალკეული სოფლებისათვის დასამზადებელი პროდუქციის თვისების მიხედვით; ფასების გადიდება განხორციელებულ უნდა იქნეს ზედნადები ხარჯებისა და წანამატის შემცირებით;

ბ) ერთი დეკადის ვადაზე გადასინჯოს ღვინის საგასაცემო ფასების კალკულაცია იმ მხრივ, რომ ზედნადები ხარჯები და წანამატი შემცირდეს არა ნაკლებ, ვიდრე 6 მან. 50 კაპიკით 12 ლიტრ. (ვედრო) ღვინოზე და საგასაცემო ფასები შემცირდეს საშუალოდ 2 მანეთით 12 ლიტრ ღვინოზე.

შენიშვნა. გადიდებული სადამზადებლო ფასების მიცემა საწარმოებს 1932 წლის მარტის 1-დან და იგი ვრცელდება 1931 წლის მოსავლის ჩაბარებულ ღვინოზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობის ტრესტს და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ღვინის დამმზადებელ ორგანიზაციას (ხოლო მის მოწყობამდე— საქართველოს ბაღ-ბოსტან კავშირს) მისცენ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების თანახმად ჩააბარეს 1931 წლის მოსავლის ღვინო დადგენილ ვადაზე და დადგენილი თვისებისა, დამატებითი ფული უკვე გადახდილი თანხის 50%-ის რაოდენობით, საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა და ბაღ-ბოსტან-კავშირმა ერთი დეკადის ვადაზე გამოარკვიონ, საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრთან შეთანხმებით, ცალკეულ კოლმეურნეობებში დამზადებული ღვინის ზუსტი რაოდენობა, რათა ამ გზით განსაზღვრულ იქნეს დამატებით გადასახდელი თანხის რაოდენობა.

3. 1931 წლის მოსავლის ღვინის დამზადების ჩატარების დროს და 1932 წლის მოსავლის ღვინის კონტრაქტაციის საქმეში დაწესებულ იქნეს კოლექტიურ და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის პურის გაცემის ნორმა—13,33 კილოგრამი პურის რაოდენობით თვითეულ 100 ლიტრ ღვინოზე (1 ფუთი 10 ვედროზე), ხოლო მთლიანი მევენახეობის რაიონებსა და სოფლებში—26,66 კილოგრამი პურის რაოდენობით თვითეულ 100 ლიტრ ღვინოზე (2 ფუთი 10 ვედროზე).

შენიშვნა. მთლიანი მევენახეობის რაიონებსა და სოფლებს ერთი დეკადის ვადაზე დაადგენს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაზე შეიმუშაოს საკითხი არყის სახდელი საქმის განვითარების შესახებ ხილის, ყურძნის და სხვ. ნარჩენების მაქსიმალურად გამოყენებისათვის და სათანადო მოხსენება წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაზე შეიმუშაოს საკითხები:

ა) 1932 წელს არამსხმოიარე ვენახებისა და სადედეების ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებისა და ამ გადასახადით ვენახების დაბეგვრის განაკვეთების შემცირების შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ-ში პურის სპირტის დაბეგვრის განაკვეთების იმ განაკვეთებთან გათანასწორების შესახებ, რაც დადგენილია სსრ კავშირის სხვა ადგილებისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და ერთი დეკადის ვადაზე წარუდგინოს დასადასტურებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მოსავლის ღვინისა და ყურძნის კონტრაქტაციის ძირითადი პირობები.

7. რადგანაც ვენახების წამლობისათვის საჭირო მასალის მიღება სრულიად არადამაკმაყოფილებელია, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სახელმწიფო შენაერთის საქართველოს განყოფილებას იხმარონ სასწრაფო და გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა დაჩქარებულ იქნეს საქართველოს სსრ-ში საწამლე მასალის გამოგზავნა სათანადო განაცხადებში გათვალისწინებული რაოდენობით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირს—„სარეწაო კავშირს“ შეიმუშაოს, დაინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, საკითხი სარეწაო კოოპერაციის სისტემის მიერ ტფილისში შაბიამანის წარმოების გაფართოების შესახებ და ერთი დეკადის ვადაზე წარუდგინოს სათანადო მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) დაუყოვნებლივ გამოჰყოს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სახელმწიფო შენაერთის საქართველოს განყოფილების განკარგულებაში ქონებული აპარატურიდან არა ნაკლებ, ვიდრე 800 ცალი აპარატი „ვერმორელის“ სისტემისა მევენახეობის რაიონებისათვის და იხმაროს ღონისძიებანი, რათა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში 1932 წლის აპრილის 1-მდე შემოზიდულ იქნეს კიდევ 1000 ცალი ასეთი აპარატი;

ბ) გამოჰყოს იმავე წესით საჭირო რაოდენობის გოგირდის საყრელი აპარატი „ტიპ-ტოპის“ სისტემისა;

გ) გამოჰყოს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სახელმწიფო შენაერთის საქართველოს განყოფილების საწყობებში ქონებული მარაგიდან აპარატურის სათანადო რაოდენობის სათადარიგო ნაწილები და გაგზავნოს ეს ნაწილები სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მეშვეობით რაიონებში;

დ) დაადგინოს წესი მევენახეობის მეურნეობათა მომარაგებისა საწამლე მასალით, წვრილი აპარატურით და მისი სათადარიგო ნაწილებით, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვენახების მთელი ფართობი, მათ რიცხვში არამსხმოიარე ვენახების ფართობიც;

ე) შეიმუშაოს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტთან ერთად, საკითხი მევენახეობის მეურნეობებში საწარმოო პროცესების მექანიზაციის მიზნით ცდების დაყენებისა და ამ ცდებისათვის საჭირო სახსრის შესახებ და ერთი დეკადის ვადაზე წარუდგინოს სათანადო მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

9. დაევალოს სარეწაო კოოპერაციის კავშირს—„სარეწაო კავშირს“—გაფართოოს თავის სისტემაში „ფომას“ სისტემის გოგირდის ხელით საყრელი აპარატების წარმოება იმ ანგარიშით, რომ 1932 წლის მაისის 5-სათვის გამოშვებულ იქნეს არა ნაკლებ 3.000 ცალი ასეთი აპარატი.

10. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის ტრესტს მისცეს დირექტივი სათანადო სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს, რათა მათ, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, გამოჰყონ ტყის ნაკვეთები ვენახებისათვის ხარდანის მოსაჭრელად.

11. რადგანაც მიწის გადასაბრუნებელი გუთნების მოთხოვნილება 1932 წელს ცენტრალიზებული მომარაგების წესით დაკმაყოფილებულია მხოლოდ არაუმეტეს, ვიდრე 70%-ით, დაევალოს აღნიშნულ ტრესტს დასდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ლითონტრესტთან ხელშეკრულება მიწის გადასაბრუნებელი გუთნების დანარჩენი ნაწილის დამზადების შესახებ.

12. დაწესებულ იქნეს 1932 წელს პურის მომარაგების შემდეგი ნორმები ახლად გაშენებული ვენახებისათვის:

ა) კოლექტიურ მეურნეობათათვის—ერთი ტონა პური ახლად ჩაყრილი 1 ჰექტარი ვენახისათვის;

ბ) ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის—0,66 ტონა პური ახლად ჩაყრილი 1 ჰექტარი ვენახისათვის;

13. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების კომისიას მოისმინოს კვარტალობით სათანადო უწყებებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციების მოხსენებანი კონტრაქტაციისა და ღვინის დამზადებისა და ვენახების გაშენების მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. (ბ) პ. ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წ. თებერვლის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 51 №-ში 1932 წ. მარტის 1.

---

35. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ. (ბ) პ. ც.კ.

1932 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ.

მეთამბაქეობის განვითარებისათვის ხელისშეწყობისა და 1932 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის წარმატებით ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. თამბაქოს ნათესის მთელი ფართობიდან, რაც 28.000 ჰექტარს უდრის, დაკონტრაქტებულ იქნეს კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში 27.155 ჰექტარი, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში—19.742 ჰექტარი და საქართველოს სსრ მეთამბაქეობის დანარჩენ რაიონებში (აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ჩათვლით)—7.413 ჰექტარი.

თამბაქოს სათესი ფართობი საბჭოთა მეურნეობებში განისაზღვროს 847 ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის ჯოგეჯიანში—450 ჰექტარის, გუდაუთის (ჩერნორეჩინსკის) საბჭოთა მეურნეობაში—260 ჰექტარის და სხვა საბჭოთა მეურნეობებში—137 ჰექტარის რაოდენობით.

2. თამბაქოს მოსავლიანობის ნორმად დადგენილ იქნეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ში 6,7 ცენტნერი და საქართველოს სსრ მეთამბაქეობის დანარჩენ რაიონებში—8 ცენტნერი ჰექტარზე.

თამბაქოს დასაკონტრაქტებელი მოსავლის რაოდენობა განისაზღვროს 19.156,4 ტონით, საიდანაც აფხაზეთის ავტ. სსრ-ში—13.226 ტონა და დანარჩენ ადგილებში—5.930,4 ტონა.

3. დაწესებულ იქნეს ავანსის საშუალო რაოდენობა თამბაქოს დასაკონტრაქტებელი პროდუქციის ერთ ტონაზე აფხაზეთის ავტ. სსრ-ისათვის—530 მან. და სხვა ადგილებისათვის—360 მან.. ავანსის გაცემა უნდა მოხდეს შემდეგ ვადებზე:

1932 წლის მარტის 1-მდე—ავანსის თანხის $^1/_3$ (სარგავი მეურნეობის ორგანიზაციის მომენტისათვის), 1932 წლის მაისის განმავლობაში—$^1/_3$ (დარგვის პერიოდში) და 1932 წლის ივლისში—$^1/_3$ (მოსავლის აკრეფის პერიოდში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწესებულ იქნეს ავანსისა და პურით მომარაგების რაოდენობის განაწილება კოლმეურნეობებისათვის, ინდივიდუალურ მეურნეობებთან შედარებით, აფხაზეთის ავტ. სსრ-ში და ტოლოშის და ახალციხის რაიონებში—25%-ით, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებში—30%-ით.

5. ავანსების საერთო თანხა თამბაქოს კონტრაქტაციის საქმეში განისაზღვროს 9.1 5.000 მანეთით, მათ შორის აფხაზეთის ავტ. სსრ-ისათვის—7.009.780 მან. და საქართველოს სსრ სხვა რაიონებისათვის—2.135.220 მან.

6. კონტრაქტანტ-მეთამბაქოეთა პურით მტკიცე მომარაგება დაწესებულ იქნეს 10 ცენტნერი პურის რაოდენობით ერთ ტონა თამბაქოს ნედლეულზე საქართველოში, ხოლო აფხაზეთისათვის—12 ცენტნერის რაოდენობით; ამასთანავე პური უნდა გაიცეს შემდეგ ვადებზე: 1932 წლის პირველ კვარტალში—10%, მეორე კვარტალში—25%, მესამე კვარტალში—25% აფხაზეთის ავტ. სსრ-ში და 20% საქართველოს სხვა რაიონებში, და მეოთხე კვარტალში—40% აფხაზეთში და 45% საქართველოში.

7. პურით მომარაგების საერთო ფონდის ოდენობა განისაზღვროს 21.801 ტონით. მათ შორის აფხაზეთისათვის—15.871 ტონა და საქართველოსათვის—5.930 ტონა.

8. მეთამბაქოეთათვის სამრეწველო საქონლის მიცემის ნორმა საქონლის ნორმალური ბრუნვის წესით დადგენილ იქნეს დაკონტრაქტებული პროდუქციის ღირებულების 30%-ის რაოდენობით.

9. რათა ლაგოდეხის რაიონში ხელი შეეწყოს საექსპორტო თამბაქოს კულტურის განვითარებას) ავანსებისა და პურის პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით მომარაგების ნორმა კოლმეურნეობათათვის და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის დაწესებულ იქნეს 25%-ით მეტი იმ ნორმებზე, რაც მოქმედობს შინაგანი მოხმარების თამბაქოს მწარმოებელ მეურნეობათათვის.

10. მეთამბაქოეთათვის აგრომომსახურეობის გაწევა და თამბაქოს კონტრაქტაცია ლაგოდეხის რაიონის როგორც კოლმეურნეობებში, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებში დაეკისროს საქართველოს ტრაქტორცენტრის სისტემას; სილნაღის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ჩოხატაურის რაიონებში და აგრეთვე აჭარისტანის ავტ. სსრ-ში აგრომომსახურეობა დაეკისროს საკოლმეურნეო სისტემას, ხოლო კონტრაქტაცია—მომარაგების სახალხო კომისარიატის სათანადო დამმზადებელ ორგანიზაციას (ხოლო ამ უკანასკნელის მოწყობამდე—საქართველოს ბალ-ბოსტან-კავშირს).

11. წინადადება მიეცეს საქართველოს კომპარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს და აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განსაზღვრონ აფხაზეთის ავტ. სსრ-ში მეთამბაქოეთა აგრომომსახურეობისა და კონტრაქტაციის ჩატარების წესი და გაანაწილონ ფუნქციები საკოლმეურნეო სისტემასა და თამბაქოს დამმზადებელ ორგანიზაციას შორის.

12. დაევალოს მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემის თამბაქოს დამმზადებელ ორგანიზაციას (ხოლო ამ უკანასკნელის მოწყობამდე—საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს ბალ-ბოსტან-კავშირს) და საქართველოს ტრაქტორცენტრს დაუყოვნებლივ შეუდგნენ თამბაქოს კონტრაქტაციას იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს 1932 წლის მარტის 15-სათვის.

13. დაევალოს მიწათმოქმედებისა და მომარაგების სახალხო კომისარიატებს, საქართველოს კოლმეურნცენტრთან, თამბაქოს კოლმეურნცენტრთან, საქართველოს ტრაქტორცენტრთან და საქართველოს კოლმეურნმშენთან ერთად, შეიმუშაონ საკითხი საპლანტაციო-ტეხნიკურ ნაგებობათა (სარაია, თამბაქოს მზითა და ცეცხლით სახმობი ნაგებობა) მშენებლობის შესახებ და სხვა ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რაც უზრუნველჰყოფს თამბაქოს წარმოების გეგმის შესრულებას, და ხუთი დღის ვადაზე წარუდგინონ სათანადო მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

14. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების კომისიას მოისმინოს სათანადო უწყებათა და ორგანიზაციათა პერიოდული მოხსენებანი თამბაქოს კონტრაქტაციის მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. (ბ) პ. ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წ. თებერვლის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 54 №-ში 1932 წ. მარტის 5.

---

36. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.(ბ)პ. ც.კ.

1932 წელს ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

1932 წელში ბამბის კონტრაქტაციის წარმატებით ჩასატარებლად და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წლის თებერვლის 10-ის დადგენილებისა (გაზ. „იზვესტია“ № 41 1932 წ.) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის თებერვლის 21-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 44 1932 წ.) განსავითარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს ბამბის ნათესი ფართობის კონტრაქტაცია საქართველოს სსრ-ში 1932 წლისათვის 22.125 ჰექტარის რაოდენობით; აქედან 15.000 ჰექტარი (ვარაუდით) კოლმეურნეობებში და 7.125 ჰექტარი ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში.

2. დაწესებულ იქნეს ნედლი ბამბის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე საშუალოდ: 5,64 ცენტნერი (564 კილოგრ.) კოლმეურნეობებში და 5,54 ცენტნერი (554 კილოგრ.) ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში.

ბამბის ნათესის მოსავლიანობის ნორმა კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა მტკიცე დავალების მიხედვით ღაწესებულ იქნეს 10%-ით მეტი ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მოსავლიანობის ნორმებთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა განისაზღვროს 12.497,3 ტონის რაოდენობით; აქედან 8.550 ტონა (ვარაუდით) კოლმეურნეობებში და 3.947,3 ტონა ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში.

4. ავანსის საშუალო რაოდენობა დაკონტრაქტებული ნედლი ბამბის ერთ ტონაზე განისაზღვროს 56 მანეთით: კოლმეურნეობათათვის—61 მან. 35 კაპ. ბამბის ერთ ტონაზე და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის—47 მან. 20 კაპ.

5. ავანსი კონტრაქტანტებს უნდა მიეცეს შემდეგ ვადებზე: კონტრაქტაციის დროს—21%, დათესვისა და ნათესის შემოწმების შემდეგ—47% და მეორედ გათოხნის შემდეგ—დანარჩენი 32%.

6. დაავანსების ნორმების მიხედვით ფულადი სახსრის საერთო ფონდი დაავანსებისათვის განსაღვრულ იქნეს 711.000 მანეთის რაოდენობით.

7. ბამბის მთესველთა პურით მომარაგება ერთ ტონა ჩაბარებულ ნედლ ბამბაზე განისაზღვროს საშუალოდ 5,5 ცენტნერით; ამასთანავე უზრუნველყოფილ იქნეს ამ ნორმების შემდეგი დიფერენციაცია სამი ზოლისა და ცალკეული სექტორების მიხედვით:

	კილოგრამი პური ერთ ცენტნერ ნედლ ბამბაზე	
	კოლმეურნეობათათვის	ინდივიდ. ღარიბ და საშუალო მეურნ.
I ზოლი—ყარაიას რაიონი	72	57,5
II „ ბორჩალოს „ .	58	46,3
III „ დანარჩენი „ .	50	40

8. პურით მომარაგების ნორმა გადიდებულ იქნეს: იმ კოლმეურნეობათათვის, რომელთაც ბამბის გადასარგავი კულტურა აქვთ,—25%-ით, ხოლო იმ კოლმეურნეობათათვის, რომელთაც თესლით ნათესი კულტურა აქვთ,—50%-ით ჩვეულებრივ ნორმებთან შედარებით.

9. კონტრაქტანტებისათვის პურის მიცემა მოხდეს შემდეგ ვადებზე: საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადებისას—10%, დათესვისა და ფართობის შემოწმების შემდეგ—12%, პირველი გათოხნის შემდეგ—15% (სულ ივლისის 1-მდე 37%), მესამე გათოხნის შემდეგ—10% და ნედლი ბამბის ჩაბარებისას—დანარჩენი 53%.

10. კონტრაქტანტების მოსამარაგებლად საჭირო პურის საერთო ფონდი განისაზღვროს 7.000 ტონის რაოდენობით.

11. საერთო ფონდი სამრეწველო საქონლისა, რაც ბამბის მთესველთ უნდა მიეცეს (მიეყიდოს), განისაზღვროს 1.956.000 მანეთით მრეწველობის ფასების მიხედვით.

12. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაზე განსაზღვროს ბამბის რაიონებში შესაზიდი სამრეწველო საქონლის

ასორტიმენტი და უზრუნველჰყოს ამ საქონლის შეზიდვა შემდეგ ვადებზე: პირველ კვარტალში—25%, მეორე კვარტალში—15%, ხოლო დანარჩენი 60%—მესამე და მეოთხე კვარტალში იმ ანგარიშით, რომ სამრეწველო საქონლის შეზიდვა სავსებით დამთავრდეს არა უგვიანეს 1932 წლის ნოემბრის 1-ისა.

13. სამრეწველო საქონლის საერთო ფონდიდან მებამბეობის რაიონებში შეზიდულ იქნეს 254 ტონა შაქარი და 7.224 კილოგრამი ჩაი. შაქრისა და ჩაის შეზიდვა მოხდეს შემდეგ ვადებზე: პირველ კვარტალში—25%, მეორე კვარტალში—25% და მესამე კვარტალში დანარჩენი 50%.

14. შეზიდულ იქნეს მებამბეობის რაიონებში 63,5 ტონა ზეთი, რომელიც ერთ ტონა დაკონტრაქტებულ ნედლ ბამბაზე უნდა მიეცეს: კოლმეურნეობებს—5,4 კილოგრამი და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს—4,2 კილოგრამი; ამასთანავე ზეთი შეიძლება შეიცვალოს საოჯახო საპნით სათანადო ეკვივალენტის მიხედვით.

15. შეზიდულ იქნეს მებამბეობის რაიონებში 127 ტონა კოპტონი, რომელიც ერთ ტონა დაკონტრაქტებულ ნედლ ბამბაზე კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს მიეცემათ 8,6 კილოგრამი.

16. მინერალური სასუქი ბამბის მთესველთ უნდა მიეცეს ნისიად ნედლი ბამბის რეალიზაციამდე.

17. კონტრაქტაციის ჩატარება და ბამბის კოლმეურნეობათა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის აგროსაწარმოო მომსახურეობის გაწევა დაეკისროს ტრაქტორცენტრის სისტემას, რომელსაც დაევალება კონტრაქტაციის ხელშეკრულებანი დასდოს ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ჯგუფებთან და თავი მოუყაროს ამ უკანასკნელთა მიწებს, მიწათმოწყობის წესისამებრ (მიწების მიჩენით) მთლიან მასივებად ტრაქტორებით დამუშავების მიზნით.

18. თესლი კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს მიეცეს ნისიად 4 კაპიკად კილოგრამი, ხოლო კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებს—ნაღდი ანგარიშით 6 კაპიკად კილოგრამი.

19. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს ორი დეკადის ვადაზე განსაზღვროს საქართველოს სსრ-ში გასახსნელი სავაჭრო წერტების (მაღაზიების) რაოდენობა იმ 750 სამრეწველო საქონლის მაღაზიიდან, რაც შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დადგენილია მებამბეობის რაიონებისათვის.

20. კონტრაქტაცია დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს არა უგვიანეს ა/წ. მარტის 15-ისა.

წინადადება მიეცეს ბამბის რაიონების ადგილობრივ საბჭოებს და პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველჰყონ კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათათვის ა/წ. მარტის 10-მდე მტკიცე დავალებების მიცემა ნათესისა, მისი დამუშავებისა და ბამბის ჩაბარების საქმეში.

21. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბ. გოგია დანიშნულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულად ბამბის კამპანიის ხელმძღვანელობის საქმეში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. (ბ) პ. ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წ. თებერვლის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 54 №-ში 1932 წ. მარტის 5.

---

37. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.(ბ)პ. ც.კ.

1932 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის შესახებ.

რადგანაც საქართველოს სსრ-ში მეაბრეშუმეობის მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია, რაც აიხსნება კონტრაქტაციის არამიზანშეწონილი პირობებით, აგრომომსახურეობის ცუდი დაყენებით და საერთოდ იმით, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები 1931 წელს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდნენ, იმ მიზნით, რათა მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს თავიდან აცილებულ იქნეს წარსული წლის დეფექტები და უზრუნველყოფილ იქნეს 1932 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის წარმატებით ჩატარება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს 1932 წლისათვის თესლის დარიგების გეგმა 90.000 კოლოფის რაოდენობით და გაზაფხულის გამოკვების პარკის კონტრაქტაციის გეგმა 3.060 ტონის რაოდენობით, რისთვისაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ერთი კოლოფი თესლის გამოსავალი არანაკლებ, ვიდრე 34 კილოგრამი პარკისა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს უზრუნველჰყონ მეაბრეშუმეობის დარგში ყველა აგრიკულტურულ ღონისძიებათა თავის დროზე გატარება და მეაბრეშუმეთათვის ინსტრუქტირების თავის დროზე გაწევა, კერძოდ, მთელი თესლის ინკუბაციის ჩატარება, მეაბრეშუმეთა სადეზინფექციო მასალით, გადასაყვანი და ქვეშსაფენი ქაღალდით, თერმომეტრებით და სხვ. მომარაგება.

3. დაწესებულ იქნეს პარკის მტკიცე დასაქონლება საგლეხო ასორტიმენტის სამრეწველო საქონლით (ძაფი, ჩითეულობა და სხვ.) საგასაცემო ფასების მიხედვით; დასაქონლების ნორმა უნდა უდრიდეს ჩაბარებული დაკონტრაქტებული პროდუქციის ღირებულების 50%-ს.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს გამოჰყოს ამ მიზნით სამრეწველო საქონლის განსაკუთრებული ფონდები და მისცეს ამ ფონდებს მტკიცე მიზნობრივი დანიშნულება; ამასთანავე დაკონტრაქტებული პროდუქციის ჩამბარებელთ საქონელი აღნიშნული ფონდებიდან უნდა მიეცეს მხოლოდ საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ორდერებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა—„ცეკავშირმა“ დაუყოვნებლივ მისცეს სათანადო დირექტივი თავის ქვედა სისტემას და დაამყაროს წესი, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნება ზემოაღნიშნული ფონდებიდან საქონლის სავსებით დაყვანა მეაბრეშუმეებამდე.

4. წინადადება მიეცეს: ა) „ზაკრასმასლოსბიტს“ სამი დღის ვადაზე გაგზავნოს საქართველოს სსრ მეაბრეშუმეობის რაიონებში, კონტრაქტაციის დროს მეაბრეშუმეთა შორის გასანაწილებლად, 100 ტონა საოჯახო საპონი; ბ) საქართველოს სამკერვალო ტრესტს—იმავე ვადაზე გამოჰყოს საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებისათვის გაუნაწილებელი ფონდებიდან 100.000 მანეთის მზა საგლეხო ასორტიმენტის ნაკეთობა; გ) საქვაჭრობას—ერთი დეკადის ვადაზე შეზიდოს იმავე რაიონებში საგლეხო მოხმარების საქონელი არა ნაკლებ, ვიდრე 50.000 მანეთისა, და გადასცეს ცეკავშირს მეაბრეშუმეობის რაიონებში გასანაწილებლად იმავე კატეგორიის საქონელი 100.000 მანეთის ღირებულებისა; ამასთანავე დაევალოს ცეკავშირს დაუბრუნოს საქვაჭრობას აღნიშნული საქონელი, როცა იგი მეაბრეშუმეთათვის დანიშნულ სასაქონლო ფონდებს მიიღებს; დ) საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტს—გამოჰყოს და გაგზავნოს მეაბრეშუმეობის რაიონებში თავისი წარმოების საქონელი 750.000 მან. ღირებულებისა (აქედან 60% ნახევარ-აბრეშუმის და 40% აბრეშუმის ქსოვილი).

შენიშვნა. მეაბრეშუმეობის რაიონებში შესაზიდი საქონლის ასორტიმენტს სამი დღის ვადაზე განსაღზვრავს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი საქართველოს აბრეშუმის ტრესტთან და ცეკავშირთან შეთანხმებით.

5. დაწესებულ იქნეს პარკის ჩამბარებელთათვის პურის მომარაგების ნორმა 2 კილოგრამი პურის რაოდენობით თვითეულ კილოგრამ პარკზე; ამასთანავე პური გაცემულ უნდა იქნეს შემდეგი წესით: ა) საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადებისას—0,5 კილოგრამი პური ერთ კილოგრამ დაკონტრაქტებულ პარკზე და ბ) დანარჩენი ნაწილი—თესლის დარიგებისას და პარკის ჩაბარებისას.

ამ მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს 1932 წლის მარტის 15-მდე შეზიდოს მეაბრეშუმეობის რაიონებში 1.530 ტონა პური იმ 6.120 ტონა პურიდან, რაც ამ რაიონებში საერთოდ შეზიდულ უნდა იქნეს.

6. ამა დადგენილების თანახმად მეაბრეშუმეების პურითა და სამრეწველო საქონლით მომარაგებისათვის განსაზღვრულ წესთან დაკავშირებით, რომელი მომარაგებაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მტკიცე ვალდებულებით საკონტრაქტაციო ხელშეკრულების საფუძველზე, წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს შეიტანონ სათანადო ცვლილებანი პარკის კონტრაქტაციის ხელშეკრულებებში და ფართოდ აცნობონ ეს გარემოება მეაბრეშუმეებს.

7. მეაბრეშუმეთა მიერ პარკის ჩაბარების წესის გასაადვილებლად დატოვებულ იქნეს 1931 წელს გამოყენებული წესები პარკის სამი ხარისხის მიხედვით მიღებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. რადგანაც მეტ წილ კოლმეურნეობებში აბრეშუმის ჭიის განსაზოგადოებული გამოკვება მოწყობილი არ არის, შესაძლებლად იქნეს ცნობილი, რომ 1932 წელს კოლმეურნეობებმა ჭია გამოკვებონ მათთან დადებულ ინდივიდუალურ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე; ამასთანავე დაევალოს საკოლმეურნეო სისტემას კოლმეურნეთა ამ მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა.

9. საჭიროდ იქნეს ცნობილი, იმ მეაბრეშუმეთა დაპრემირების შემოღება, რომელნიც პარკის კონტრაქტაციის ხელშეკრულებებს გადამეტებით შეასრულებენ.

წინადადება მიეცეს საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მონაწილეობით, გამონახონ აღნიშნული დაპრემირებისათვის საჭირო ფულადი და სასაქონლო ფონდები.

10. რადგანაც საქართველოს აბრეშუმის ტრესტის აპარატი როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში დაკომპლექტებული არ არის, მიენდოს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებას და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაზე გაგზავნონ საქართველოს აბრეშუმის ტრესტის განკარგულებაში სათანადო რიცხვი პასუხისმგებელი მომუშავეებისა და სპეციალისტებისა და გადაიყვანონ საქართველოს აბრეშუმის ტრესტის აპარატში ის სპეციალისტები, რომელნიც წინათ იქ მუშაობდნენ.

წინადადება მიეცეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს შესწყვიტონ საქართველოს აბრეშუმის ტრესტისა და მისი ადგილობრივი ფილიალების მომუშავეთა მობილიზაცია პარკის კონტრაქტაციის პერიოდის განმავლობაში.

11. დაევალოს აბრეშუმის პარკის დამზადების რაიონების ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს უზრუნველჰყონ სრული დახმარება და სისტემატიური მეთვალყურეობა კონტრაქტაციისა, ჭიის კვებისა და პარკის დამზადების საქმეში, პერიოდულად მოისმინონ ხოლმე საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მოხსენებანი და განახორციელონ ამ მოხსენებებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

12. დაევალოს გაზეთ „კომუნისტის“, „კოლექტივიზაციის“, „მუშის“, „ენი-ქენდის“ და „პროლეტარის“ რედაქციებს და აგრეთვე საოლქო და სარაიონო პერიოდული ბეჭდვითი ორგანოების რედაქციებს გაშალონ კამპანია, რათა მოხდეს პარტიულ-საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეაბრეშუმეობის განვითარების საკითხების გარშემო, და სისტემატიურად გააშუქონ თავიანთ ბეჭდვითს ორგანოებში პარკის კონტრაქტაციისა, ჭიის კვებისა და პარკის დამზადების მსვლელობა.

წინადადება მიეცეს საქართველოს სახელგამს, საქართველოს მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან ერთად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსცეს ბროშურებისა და პლაკატების სერია მეაბრეშუმეობის საკითხების შესახებ.

13. რადგანაც საკოლმეურნეო სისტემა სრულიად არასაკმარის ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობებში მეაბრეშუმეობის გავრცელებისა და განვითარების საქმეს, დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს შეიმუშაონ და ორი დეკადის ვადაზე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს იმ ღონისძიებათა პროექტი, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კოლმეურნეობებში 1933 წელს აბრეშუმის ჭიის განსაზოგადოებული გამოკვების ორგანიზაცია განსაზოგადოებული საკვები ბაზების მოწყობით, კოლმეურნეობებში სათანადო სადგომებისა და ნაგებობის აშენებით და სხვ.

14. წინადადება მიეცეს მეაბრეშუმეობის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, საქართველოს აბრეშუმის ტრესტს და საკოლმეურნეო სისტემას ფართოდ გამოიყენონ მეაბრეშუმეობაში შრომის სოციალისტური მეთოდები (დამკვრელობა და სოციალისტური შეჯიბრება, რაიონებსა, სოფლებსა, კოლმეურნეობებსა და ცალკეულ მეურნეობებს შორის, დაპრემირება კონტრაქტაციისა და თესლის დარიგების საუკეთესოდ ჩატარებისათვის, ჭიის საუკეთესოდ გამოკვებისათვის, პროდუქციის მაღალი თვისობრივი მაჩვენებლებისათვის და სხვ.).

15. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამზადისს 1932 წელს ჭიის მეორე გამოკვების უზრუნველსაყოფად და წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სათანადო ღონისძიებათა პროექტი არა უგვიანეს 1932 წლის მაისის 15-ისა.

16. პარკის კონტრაქტაციის საბოლოო ვადად საქართველოს სსრ-ის ფარგლებში დაწესებულ იქნეს 1932 წლის აპრილის 1.

წინადადება მიეცეს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველჰყონ, რომ მტკიცე დავალებანი ჭიის გამოკვებისა და პარკის ჩაბარებისათვის, საკვები ფონდის სრული გამოყენების ფარგლებში, დაყვანილ იქნეს კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებამდე არა უგვიანეს 1932 წლის მარტის 20-ისა.

17. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოთან არსებულ აღსრულების კომისიას მოისმინოს სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების პერიოდული მოხსენებანი პარკის კონსტრაქტაციისა და დამზადების მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. (ბ) პ. ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წ. თებერვლის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 51 №-ში 1932 წ. მარტის 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათამასუქო სამართალი

38. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სათამასუქო დებულების 35 და 37 მუხლების შეცვლისა და 36, 38 და 40 მუხლების ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ნოემბრის 2-ის დადგენილებით დამტკიცებულ სათამასუქო დებულებაში (კან. კრ. 1924 წ. მე-6 №-ი, მუხ. 28) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 35 მუხლი (კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-ი, მუხ. 45) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„35. თამასუქის დაკარგვის (დაკარგვა, მოპარვა ან მოსპობა) დროს დამკარგველს შეუძლიან მიმართოს იმ ადგილის სახალხო სასამართლოს, სადაც დაკარგული თამასუქით ფულის გადახდა უნდა მოხდეს, და სთხოვოს მას თამასუქი დაკარგულად სცნოს. ეს თხოვნა განიხილება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 238-241 მუხლებში გათვალისწინებული წესით“.

2. 37 მუხლში (კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-ი, მუხ. 45) სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 230^{12} მუხლზე მინიშვნა შეიცვალოს 235 მუხლზე მინიშვნით.

3. 36, 38 და 40 მუხლები (კან. კრ. 1929 წ. მე-6, მუხ. 45) ამოიშალოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია**

1932 წ. თებერვლის 13.

ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

39. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაფინანსების სპეციალური საქალაქო ფონდების შესახებ.

საბინაო-საიჯარო კოოპერაციის საფინანსო მდგომარეობის განსამტკიცებლად და საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის საჭირო რემონტით უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოფად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, „ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების“ მე-80 მუხლის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ, 697), ადგენენ:

I.

1. მოეწყოს იმ ქალაქებში, რომელთა სიასაც ამტკიცებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაფინანსების სპეციალური ფონდები.

2. აღნიშნული საქალაქო ფონდები სპეციალური დანიშნულებისა შესდგება:

ა) საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა წმინდა შემოსავლის ანარიცხებისაგან ისეთი რაოდენობით, რასაც დააწესებს სათანადო საქალაქო საბჭო;

ბ) საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის იჯარით გადაცემულ სახლებში მოთავსებული სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო და სხვა არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირისაგან.

შენიშვნა. საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის წმინდა მოგებად ითვლება ის თანხა, რაც დარჩება ამ ამხანაგობის განკარგულებაში მისი საერთო შემოსავლიდან შემდეგი ხარჯების დაფარვისას:

ა) ნორმალიზებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებისა;

ბ) ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი გაერთიანებული გადასახდელისა (საიჯარო ქირა);

გ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გადასადები ანარიცხებისა;

დ) სხვა სავალდებულო ხასიათის გადასახადისა.

3. აღნიშნული საქალაქო ფონდები სპეციალური დანიშნულებისა სათანადო საქალაქო საბჭოების განკარგულებაშია და იხარჯება მათ მიერ დამტკიცებული გეგმების თანახმად და მათივე კონტროლით:

ა) საბინაო კოოპერაციის საქალაქო და სარაიონო კავშირების მიერ საბინაო საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული შენობების კაპიტალურ რემონტზე;

ბ) მცირე-ძალოვან საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ მათთვის იჯარით გადაცემული მუნიციპალიზებული შენობების მიმდინარე რემონტზე.

4. აღნიშნულ ფონდებში სახსართა შესვლის დაწვრილებითი წესი და აგრეთვე ამ ფონდების შენახვისა და გამოყენების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს გამოსცენ ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქცია და დაამტკიცონ იმ ქალაქთა სია, სადაც უნდა მოეწყოს ზემოაღნიშნული ფონდები სპეციალური დანიშნულებისა.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. თებერვლის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 52 №-ში 1932 წ. მარტის 5.

---

40. დადგენილება ს.კ.ს.

მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანასთან და სახლტრესტებისა და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობების დაწვრილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანისა და სახლტრესტებისა და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობების დაწვრილების შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის იანვრის 28-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა" № 25 1932 წ. იანვრის 20-ისა) საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

1. დაწესებულ იქნეს, რომ ადგილობრივი საბჭოების კომუნალური განყოფილებების გამგებლობაში მყოფ ტრესტებს, რომელნიც მუნიციპალიზებული სახლების (სახლტრესტების) ექსპლოატაციას ეწევიან, არ შეუძლიანთ თავიანთ გამგებლობაში გააერთიანონ სასარგებლო საცხოვრებელი ფართობის 30.000 კვად. მეტრზე მეტი, ხოლო საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს—სასარგებლო საცხოვრებელი ფართობის 1.500 კვად. მეტრზე მეტი.

შენიშვნა. იმ სახლმფლობელობაში, რომელსაც ერთი საქალაქო ნომერი აქვს, თუნდაც სასარგებლო საცხოვრებელი ფართობი ამ სახლმფლობელობაში ზემოაღნიშნულ ზღვრულ ნორმას (1.500 კვად. მეტრი) აღემატებოდეს, არ შეიძლება ორი ან მეტი საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს სახლტრესტებს მათ შედგენილობაში შემავალი ცალკეული სახლმფლობელობანი გადაიყვანონ შინაგან სამეურნეო ანგარიშზე არა უგვიანეს 1932 წლის მარტის 1-ისა.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ საბინაო კოოპერაციის კავშირს:

ა) ერთი დეკადის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა შეიმუშაონ სახლმეურნეობაში შინაგანი რესურსების მობილიზაციის გეგმა 1932 წლის 1-ლი კვარტალისათვის და დაიყვანონ ეს გეგმა, ადგილობრივი საბჭოების კომუნალური განყოფილებებისა და საბინაო კოოპერაციის საქალაქო და სარაიონო კავშირების მეშვეობით, ცალკეულ სახლტრესტებამდე და საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებამდე;

ბ) უზრუნველჰყონ ამ გეგმის განხორციელება საბჭოთა ფართო საზოგადოებრივობის მონაწილეობით (საერთო კრებებზე მოხსენებების მოწყობა, ბრიგადული გამოკვლევების ორგანიზაცია, სოციალისტური შეჯიბრის ხელშეკრულებათა დადება, საკითხის გაშუქება საერთო ბეჭდვითს ორგანოებში და კედლის გაზეთებში და სხვ.);

გ) დააწესონ დაპრემიერება: 1) იმ სახლმეურნეობებისა, რომელნიც შინაგანი რესურსების მობილიზაციის გეგმას წარმატებით ასრულებენ, რემონტისათვის საშენი მასალის რიგს გარეშე მიწოდებისა, სარემონტო სესხის პირველ რიგში მიღებისა და აგრეთვე ფულის მიცემის ფორმით და სხვ.; 2) სახლმეურნეობათა ცალკეული მომუშავეებისა, რომელნიც თავიანთი მუშაობით ამ გეგმის შესრულებას ხელს უწყობენ,—ფულის მიცემის ფორმით;

დ) იხმარონ ღონისძიებანი, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან ერთად, რათა სახლის სამოურაოებმა, საბინაო ქირის დავალიანების ლიკვიდაციის მიზნით სავსებით გამოიყენონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის დეკემბრის 29-ის დადგენილება „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში ბინის ქირის თავის დროზე შეტანის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 6).

შენიშვნა. ამა მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად დაპრემიერებისათვის საჭირო თანხები გაითვალისწინება სახლტრესტებისა და საბინაო კოოპერაციის საქალაქო და სარაიონო კავშირების ხარჯთაღრიცხვებში და სამრეწველო გეგმებში.

4. დაწესებულ იქნეს სავალდებულო ანარიცხი საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა საერთო შემოსავლიდან (ბინის ქირა) კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფონდში და საბინაო კოოპერაციის მომუშავეთა კადრების მომზადების ფონდში, იმ თანხების რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია საბინაო-საიჯარო კოოპერაციის ექსპლოატაციაში ქონებული სახლების ნორმალიზებული ბიუჯეტით. აღნიშნული სახსრის შემოსვლისა, შენახვისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახარჯვის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ საბინაო კოოპერაციის კავშირთან შეთანხმებით.

II.

მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე სათანადო ღონისძიებანი.

III.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ საბინაო კოოპერაციის კავშირს წარუდგინონ 1932 წლის აპრილის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების კომისიის მოხსენება „მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანისა და სახლტრესტების და საბინაო-საიჯარო ამხანაგობების დაწვრილების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის იანვრის 28-ის დადგენილებისა და ამა დადგენილების განხორციელების თაობაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. თებერვლის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 60 №-ში 1932 წ. მარტის 12.

---

41. დადგენილება ს.კ.ს.

სამსახურისათვის ქალაქ თელავში გადაყვანილ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისა (ინსტიტუტების) მომუშავეთა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა შედგენილობის საბინაო საჭიროებათა უზრუნველსაყოფი ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საცხოვრებლად გამოსაყენებელი ფართობის ჩამოსართმევად იმ მიზნით, რომ ფართობი მიეცეთ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა მომუშავეებსა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ჯარის ნაწილების და დაწესებულებების თავმდგომთა შედგენილობის პირებს, რომელნიც სამსახურისათვის ქ. თელავში არიან გადაყვანილი, ნება დაერთვას თელავის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს შეუფარდოს ქალ. თელავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისის 6-ის დადგენილება „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების სანიტარო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-9 №-ი, მუხ. 120), რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 28-ის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია აღნიშნული კანონის შეფარდების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 161).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. თებერვლის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 43 №-ში 1932 წ. თებერვლის 21.

სოციალურ-კულტურული წყობილება

42. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების შესახებ.

ქალაქებისა, საკურორტო ადგილებისა და მუშათა დაბების სანიტარულად გაჯანსაღების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა თა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების“ წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 208) სავალდებულო დადგენილებანი ყველა ქალაქსა, საკურორტო ადგილას და მუშათა დაბაში მღრღნელთა წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლის (დერატიზაციის) ჩატარების შესახებ.

2. ეზოებისა და სადგომების (საცხოვრებელი, სასაწყობო, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მიერ დაჭერილი და სხვა მისთ. სადგომების) დერატიზაცია მოხდება პატრონის ხარჯზე განიხრული სასყიდლით, რომლის ზღვრულ რაოდენობასაც დააწესებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი; დერატიზაციას აწარმოებენ ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების სადერატიზაციო რაზმები ან, მათი მეთვალყურეობით და კონტროლით, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სახელმწიფო შენაერთის და ქვეყნის დაცვისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ხელისშემწყობი საზოგადოების (საქ. ავიაქიმის) სადერატიზაციო რაზმები.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული დადგენილებანი გამოცემულ უნდა იქნეს: ქ. ტფილისში—არა უგვიანეს 1932 წ. მარტის 1-ისა, ქ. ფოთში და საკურორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო ადგილებში—არა უგვიანეს 1932 წ. მაისის 1-ისა, და სხვა ქალაქებსა და მუშათა დაბებში—ადგილობრივი სადერატიზაციო რაზმების მოწყობის მიხედვით, ხოლო, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 1932 წ. ოქტომბრის 1-ისა.

4. სადგომებისა და ეზოების პატრონთ სადერატიზაციო სამუშაოების სასყიდელი ამ სამუშაოების გამტარებელი ორგანიზაციების ანგარიშებით, რომლებიც განაღდებულ არ იქნება, უნდა გადაჰხდეთ სანოტარო კონტორების სააღსრულებო წარწერების მიხედვით.

II.

ამა დადგენილების 1-ლი კარის მე-3 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1-ლ პუნქტს (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157; 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 28 და 22 №-ი, მუხ. 216; 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 63, მე-9 №-ი, მუხ. 86 და 87 და მე-11 № რი, მუხ. 155; 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 52 და 21 №-ი, მუხ. 232) დაემატოს ლიტერა „ღ“ შემდეგი შინაარსისა:

[46. გადამხდევინებლის განცხადებით სანოტარო კონტორა გაუკეთებს აღსრულების წარწერას: 1) ფულის გადასახდევინებლად.....]

ღ) სადგომისა თუ ეზოს პატრონის მიერ გაუნაღდებელ ანგარიშს იმ ორგანიზაციისას, რომელიც ატარებს ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში სავალდებულო სადერატიზაციო სამუშაოებს“.

III.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—დაამტკიცოს ერთი დეკადის ვადაზე სავალდებულო სადერატიზაციო სამუშაოების სასყიდლის ზღვრული ნიხრი.

IV.

მიენდოს აფხაზეთის ავტ.სსრ ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე საათანადო ღონისძიებანი მრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. თებერვლის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 63 №-ში 1932 წ. მარტის 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

43. დადგენილება ს.კ.ს.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

სახელშეკრულებო დისციპლინისათვის ბრძოლაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მნიშვნელობის განმტკიცებისა და ამ ორგანოების ერთიანი მოქმედების დამყარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს დაეკისროს ინსტრუქტირების გაწევა აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ არბიტრაჟებისათვის და აგრეთვე რესპუბლიკანური საუწყებო არბიტრაჟებისათვის.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს:

ა) მოიწვიოს პერიოდულად, წელიწადში ოთხჯერ მაინც, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის არბიტრაჟებისა და აგრეთვე საუწყებო არბიტრაჟების თათბირი და, საჭიროებისადაკვალად, აწარმოოს მათი მოქმედების გამოკვლევა;

ბ) წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სახელმწიფო არბიტრაჟის ყველა ორგანოს მოქმედების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. თებერვლის 25.
ტფილისი.

მთავლიტი 425. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.200